

№ 21
ნოემბერი
1938 წ.
გამ-ბა „სოციალისტი“
ფასი 60.
ფილ



38/41-849
363

ნახ. გ. ისაევსა.

წიგნების, ჟურნალების, ფურცლების და სხვა წიგნების შეკრებილი კაბინეტი

ბრამსტრუკი & ტრისონი

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო


ერთ მშვენიერ თეატრს მშვენიერი პიესა შემოაკლდა,—ძებნა დაუწყაო. ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, პიესის მაგიერ დრამატურგი შემოხვდა წინ.—იცი, რა მშვენიერი დრამატურგი იქნებოდი ახლავე პიესად რომ გადაიქცეოდე!—უთხრა თეატრის საქმეების რწმუნებულმა, თავიდა რეჟისორმა დრამატურგს და ჯიბე მოუშინჯა ეგებ შიგ მშვენიერი პიესები აღმოაჩნდესო,

— რას ეძებ დიმიტრი? გაკვირვებით შეეკითხა თავიდა რეჟისორს თავწვრილა დრამატურგი და თვალეზი დააცეცა.

— ვიპოვნე, ვიპოვნე!—დაიძახა რეჟისორმა.—მოგვიკვდე ტრიფონე, თუ უარი მითხრა. მიქენი სიკეთე, ამოიღე ეგ მშვენიერი პიესები ჯიბიდან.

— მომეშვი დიმიტრი, —ეგ პიესები კი არა, პიესების სია მაქვს ჯიბეში და მინდა გაეყილო.

— შე კაცო,—ნაწყენად დაიძახა დიმიტრიმ—პიესების სია ჩვენც ბევრი ვიყიდეთ, მაგრამ შიგ ერთი პიესაც კი არ გამოვირია. მიშველე ტრიფონე, ნამეტანი გამიჭირდა გეთაყვა, თორემ პიესის დაწერისათვის არ შეგაწუხებდი და მხოლოდ სიებს გაგისაღებდი, როგორც ამდენხანს მიქნია ეს შენთვის. დამიწერე ერთი პიესა ერთ თვესა და ერთ დღელამეში. ჩემი ჭირი შეგეყაროს მაშინ ფული და პატივი რამდენიც გინდა!



— შენი ჭირი შენ გქონდეს დიმიტრი, მაგრამ რომ გავბრიყვდე კაცო და პიესა მართლა დავწერო, რაღა გქნა მაშინ. ხომ დავილუბე! გაწეწავით-გამომწეწავით, — შემდეგ იმდენს ახლაფორთებთ ჩემს პიესას, რომ ბოლოს თეატრის, ან რეჟისორის საკუთარ შემოქმედებად გამოაცხადებთ და შენს ტრიფონს ვინღა შეხედავს! არა დიმიტრი, კეუა ვისწავლე უკვე. ამით მეტს ვერ შემაცდენთ მე ისევე პიესების სიის ვაჭრობას ვამჯობინებ, სათაურებს ვაყვიდი—პიესის დაწერაზე, ეს უფრო ადვილი საქმეა და სასარგებლო.

როგორც იყო ბოლოს თავიდა რეჟისორმა დაარწმუნა თავწვრი-

ლა დრამატურგი დავწერა პიესა და არასოდეს მის ძვირს არავინ არ იტყოდა თეატრში.

როცა საკითხი უკვე სასვებით კონკრეტულად დაისვა, ტრიფონმა სთხოვა დიმიტრის სათანადო დაკვეთაში თემაც აღენიშნა, რომ შემდეგ თემის აქტუალობაზე ჩხუბი არ მოსვლოდათ.

— თემა, ჰო თემა?—ჩაფიქრდა თავიდა რეჟისორი.—თემა გეთაყვა ასეთი იქნება: აი, ჰო, მაგალითად, მოდის ვინმე დიდი ყაზახი, დაუხურავს ფაფახი და ლეკურს ცეკვავს. ამ დროს ჩამოივლის ვინმე ვაჟკაცი, შეუკვივლებს, უეცრად გაისვრის ფიშტოს და უტკივარს აატკენს.

— შეჩერდი დიმიტრი!—გამჭარბით მიაძახა ტრიფონმა.— შე კაცო, ეს თემა კი არა შინაარსია.

— შინაარსიაო!—გაიკვირვა დიმიტრიმ—მით უკეთესი, თუ შინაარსია. ბევრი ფიქრი აღარ დაგჭირდება და პიესას ერთი დღითა და ერთი საათით ადრე დამიწერ.

— არა, არ მინდა დიმიტრი! კვლავ შემფოთებით მიაძახა ტრიფონმა—შინაარსის მოთხრობისათვის შემდეგ ავტორობასაც შენ დაიჩემებ და მაშინ ხომ მთლად დავილუბე და ეგ არის. არა ძმობილო, შენ მხოლოდთემა მითხარი!

— რაღა შემაწუხე შე კაცო, აღარ გრცხვენია? რაც გითხარი შინაარსად თუ არა, თემად ხომ მაინც გამოდგება და ეგ არის. დასწერე და თანახმა ვიქნები.

როგორც იყო შეთანხმდნენ და განსაკუთრებული გრძნობების გამომქლავნებით დაშორდნენ ერთმანეთს.

თავწვრილა დრამატურგი შეუდგა საქმეს. ბოლოს და ბოლოს, მართლაც შევიდა პიესის წერის როლში და პიესების სიით ვაჭრობა მთლად დაავიწყდა. კი გაუჭირდა მაგრამ როგორც იყო ერთ წელსა, ერთ თვესა, ერთ დღესა და ერთ საათში დაასრულა პიესის წერა. შიგ ბოხოხიანი კაცის გამოყვანაც არ დავიწყებია მაგრამ მისდამოულოდნელად ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვანი საკითხებსაც შეეხო. ამ „ნაკლმა“ ის ჩააფიქრა, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, გაბედა და თეატრისაკენ თავიდა რეჟისორის სანახავად წავიდა. ახალი პიესაც თან წაიღო და გზაში რომ მიდიოდა თითქმის ცეკვავდა სიხარულისაგან.

— ოჰ, სალამი ტრიფონ!—მიაძახა თეატრში მისულ ტრიფონს დიმიტრიმ—სადა ხარ კაცო, როგორ დავგვეკარგე ამდენხანს?

— მოვედი, მაგრამ რაღა მოვედი. სასიხარულო ამბავი მოგიტანე, დიმიტრი. დავწერე პიესა „დროება“, რომელზედაც სიტყვა მოგმცო.

— რაო, პიესა დავწერო?!—გაიკვირვა დიმიტრიმ—რომელი პიესა, შე კაცო, ვინ დავავალა პიესის დაწერა.

— აღარც კი გახსოვს?—დაიძახა ელდანაცემმა ტრიფონმა პიესა კინალამ გაუვარდა ხელიდან შარშან ქუჩაში რომ შემხვდი შე კაცო და დამიკვეთე პიესა დამიწერო, ასე დავავიწყდა?

— რაო, შარშანაო!—გაიკვირვა დიმიტრიმ.—შენი საქმე არ მიკვირს ტრიფონ? შარშანდელი პიესა წელს რაღა ჭირად მინდა გეთაყვა...მაგრამ რაკი თავი შევიწუხებია და პიესა დავიწერია მოდი წავიკითხოთ და იქნებ ვინ იცის...

მართლაც დასხდნენ და ტრიფონმა დიდის პათოსით წაიკითხა პიესა. რომ დაასრულა სუარძელში გაქვავებული დიმიტრის მიაჩერდა მინაბულ თვალეზში და ცოტახნის შემდეგ ხმაგაკმედილ რეჟისორს ჰკითხა:

— რას იტყვი დიმიტრი?

— ჰო.—დაიძახა დიმიტრიმ—ჩემის აზრით, შეიძლება გაკეთდეს, მაგრამ...

— რაო, ჰო, რა მაგრამ?

— მაგრამ, იქ, ისა, ბოხოხიანი კაცი რომ არის შესწორებას მოითხოვს და...



ბერლინის თეატრი

ანუ

„სავსა აულივორია“

— ჩვენს სიყვარულზე საოცნებოთ ამაზე უფრო მყუდრო ადგილს ვერხად ვიშოვიო.

— შე კაცო შენ თვითონ არ მითხარი ბოხობიანი კაცი გამოიყვანეო!

— გითხარი, გეთაყვა, მაგრამ ეგ შარშან იყო. მას შემდეგ ხომ დრო გავიდა და ბოხობიანი კაცის საკითხიც სხვანაირად შებრუნდა.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომა — განაგრძნო ტრიფონმა — მაშინ ბოხობიანი კაცი თუ ცეკვავდა, ახლა საჭიროა სროლა ასტეხოს. რას იზამთ. ასეთია ცხოვრების დიალექტიკა და ვერც შენ გაეჭვივი.

— კარგი, წავიღებ და შევასწორებ! მიუგო დაღონებულმა ტრიფონმა, თავის პიესას ხელი დაავლო და წასვლა დააპირა.

— არა, — კვლავ დაიძახა ტრიფონმა — პიესა დასტოვე აქ და ჩვენ თვითონ რამეს მოუხერხებთ. — უთხრა თავწვრილა დრამატურგს თავდიდა რეჟისორმა, პიესა გამოართვა და მაგიდის უჯრაში მაგრად ჩაპყეტა.

— კარგი, ახლა თქვენს ხელთა ვარ და როგორც გენებოთ! — უთხრა ტრიფონმა და იმავე წუთს დასტოვა თეატრი.

გავიდა დრო, მაგრამ „დროების“ შესახებ არაფერი ისმოდა. ხვები გავრცელდა ახალი პიესა „გასროლა“ იდგმება თეატრში, რომელიც თეატრს, ანუ თავდიდა რეჟისორს დიმიტრის თვითონ დაუწერიაო ტრიფონმა გადასწყვიტა წასულიყო პრემიერაზე.

მივიდა ნახა, მაგრამ რა ნახა!

სცენაზე მან სულ მთლად გამოცხადებული თავისი პიესა აღმოაჩინა რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდებოდა მისი პიესისაგან რომ ბოხობიანი კაცი — ლეკურის მაგიერ უადგილოადგილას თოფს ისროდა სცენაზე და მაყურებლებს მით აშინებდა.

ტრიფონმა ფერი დაკარგა უეცრად. გული წაუფიდა და იქვე დაეცა. ასწიეს, დასწიეს და სული რომ მოიბრუნა მხოლოდ ამას ლულულელებდა: „ჩემი პიესა“ სხვა სიტყვა ვეღარ მოენახა.

მეორე დღეს დიდი ჩხუბი და აურზაური ატყდა თეატრში: ტრიფონმა ხმა ამოიღო და საავტორო უფლებების საკითხი დასვა.

დიმიტრიმ განაცხადა, რომ პიესის მთელი შინაარსი და ტიპაჟი მე მივეცი ტრიფონს, მხოლოდ ტრიფონმა ჩემი ნაამბობის დაწერა იკისრაო, მიუხედავად ამისა, საუბედურად დაწერაშიც მოიკოჭლა ტრიფონმა და უკანასკნელი საქმის გაკეთებაც ბოლოს მე მომიხდაო.

იმდენი იმსჯელეს, იმდენი იდავეს, რომ ბოლოს (ცინაიდან თეატრის მუშაკები თეატრში მეტი ამოჩნდა) ტრიფონს თანაავტორობა მაინც მიაკუთვნეს და ამით პატივი სცეს.

ერთი წლის შემდეგ თავდიდა დიმიტრი ისევ შეხვდა თავწვრილა დრამატურგს და ახლაც პიესის დაწერა სთხოვა.

— არა ძვირფასო, — მიუგო ტრიფონმა, — ახლა ვეღარ გამატუტუცებთ პიესების დაწერას, პიესების სიით ვაჭრობა სჯობნებია, ვინაიდან აქედან სახელიცა და სახრავიც მეტი მაქვს და არხენიად დავდივარ ჩემთვის. მშვიდობით ძვირფასო დიმიტრი. ნუ გეშინია უჩემპიესოდაც მშვენივრად შეგიძლიან იცხოვრო.

ეს სიტყვა და თვალს მოეფარა...

დიმიტრი სახტად დარჩა და ერთ ადგილს გაშეშებული ხმას ვერ იღებდა.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს თავდიდა რეჟისორი და თავწვრილა დრამატურგი, და მათი შერიგება დღესაც საკითხია.



მოთხიანებითა შინითა...

— ამხ. უფროსო! ამ პორთველში ჩაყრილი პიესების ფული უკვე გადახდილი გვაქვს და როდის წავიკითხოთ?
— რა გაჩქარებს შეკაცო! გენერალური რეპეტიცია ხომ იქნება, თუ არ მოგვეწონა, მოხსნა და მისი ჯანი...

ჭკუას უნდა შეუჩივდეს ხელოვნების სამმართველო

ვინ ასწიოს მთა-მყინვარი, ვინ დათვალოს ქვიშა ზღვაში,
ვინ აანთოს გაზაფხულის ცეცხლი—მწველი იანვარში,

ვინ იღრუშოს თავის ხელით ტიტველ თავში მუხის კეტი,—
ამას შესძლებს მხოლოდ ჩვენი... ხელოვნების კომიტეტი...

კომიტეტს ჰყავს „ბრძენთა ბრძენი“ რეპერტუარ—კომისია,
მისი ამირ-სპარსალარი—წმინდა ჭკუის ტალკვესია,—

კრიტიციზმის ალით იწვის, სიტყვას ვაგლახ არ იმეტებს,—
ზის, არიგებს უკანონო პიესების ალიმენტებს...

ორასათასს აპარბებსო გაცემული ალიმენტი:
სკამენ ფულს და ამღერებენ აქ ტრიფო და იქ კლიმენტი.

პიესები? როგორია მათი ავლა-დიდებაო?
არც მტრი და არც ნაკლები—კურდღელს აფიქდებაო...

ხენეში და ულაზათო—გადახტი და სკუპ-და-რიკო,
არაფერი არ გამოდის, რა გინდ არ იხვანცაროკო.

მიღებული პიესები, ღვთის და კაცის შეწვევითო,
ხელმეორედ იწერება არა ნაკლებ ათჯერ თითო.

აქ ავტორი სულ სხვა არის—აირია მონასტერი—
ასეთ ამბებს ვერ გაუძელ დავიგლიჯე თმა და წვერი.

პიესები არ გამოდგა, არქივისკენ უკრეს თავი,
ფული ბევრი დაიხარჯა, თეატრებს კი—კვირისტავი...

და თუ გნებავთ თეატრებით ამაყობდეს საქართველო:
ჭკუას უნდა შეუჩივდეს ხელოვნების სამმართველო.

პლატონ-ბეი

ქუთაისის თეატრი ძველად

(ნაწილები ქუთაისის თეატრის ისტორიიდან)



ქართული მემკვიდრეობა

წარსულში ქუთაისის თეატრს მტკიცე ტექნიკური პერსონალი არა ჰყავდა. დარაჯ ივანე ნაჭყვიას გარდა თეატრში იყვნენ აფიშორებდა არტემ ავაგჯანოვი და შუხა პაპიაშვილი, რომლებიც თეატრის განუყრელი მეგობრები იყვნენ დღიდან მისი დაარსებისა. იმ დროში ხომ წარმოდგენები ხშირი არ იყო. კვირაში ერთი, ან ორი წარმოდგენა თუ გაიმართებოდა. სამაგიეროდ წარმოდგენის ღამეს ორივენი საზოგადოების ტანსაცმელებს უვლიდნენ და რა თქმა უნდა, ყველა თუ არა, რამდენიმე კაცი მაინც აჩუქებდა ზოგი 5 და 10 კაპეიკს.

შუხა პაპიაშვილი მხიარული და ოხუნჯი იყო, თანაც დამთმობი, ავაგჯანოვი კი—უფრო სერიოზული და მეტი წილი ფულისა ავაგჯანოვს მიჰქონდა,

ამას გარდა მათ სხვა შემოსავალიც ჰქონდათ. მაგალითად, ყოველ ახალ წელიწადს დილით მივიდოდნენ რომელიმე შეძლებულის ოჯახში და მათ ულოცავდნენ ახალ წელს. შუხა პაპიაშვილს ერთი ტრადარეტული ლექსი ჰქონდა დაზეპირებული—რუსულად და ქართულად. ეს ლექსი იყო დაბეჭდილი სადარბაზო ბარათზე. მოგვყავს ამ ლექსის შინაარსი:

„Афишор Шука
и вам прибѣгает,
с Новым годом поздравляет
и подарка ожидает
Ах Шука ха, ха, ха!
Наградите господа“.

არც ავაგჯანოვმა და არც შუხა პაპიაშვილმა კითხვა არ იცოდნენ, როგორ უნდა დაეცემოდათ ამ ლექსით. მათ მხოლოდ იმედი ჰქონდათ, რომელიმე მათგანს დაეცემოდა.

ქალაქში უნდა გაეცრელებინათ შუხამ და არტემამ თვენიტი უფრო ციხის გამო მთელს ქალაქში თავუკულმა გააკრეს, ლაღი ტყუილი იძულებული იყო ხელახლა შეეკვთა აფიშები და ხელახლად გაეცრელებინა. არტემ ავაგჯანოვსაც ჰქონდა საახალწლო ლექსი... ლექსი ყოველ წელს ახალი შინაარსისა იყო, მაგრამ ყოველთვის უშინაარსო და უხეირო. მოგვყავს ეს ლექსიც:

„ღამე არ მაქვს ძილი
და დღისით მოხვენება,
მე რომ კლუბში შევედი
იყო მოღზინება,

ღვინო ეჭირათ
ხელში ჭიქითა,
საითკენ იჯდა ლამაზი ბარიშნა
უყურებდნენ იქითა.

ქუთაისშია სობორა,
როგორც ქალაქში სიონი,
გაღმა გამოღმა ბაზარი
შუაზედ მოდის რიონი“.

თუმცა მათ ჯამაგირი არა ჰქონდათ, მაგრამ აი, ამგვარი ხერხით შუხა და არტემა კარგ თანხას აგროვებდნენ. ამიტომ ავაგჯანოვი საზოგადოებას მეტი წელი მსახურობდა თეატრში და ესეც ღრმად მოხუცი 1928 წელს გარდაიცვალა ქუთაისში.

ი. ჯარღალიშვილი



ხარხი სჯობია ღონესო...

- სად მიგყავს კაცო ეს კატები?
- კინოთეატრ „დამკვირლში“, სკამზე მივაბამ და ვირთხების თავდასხმისაგან დაზღვეული ვიქნები.

მოქალაქე



ნაწყვეტი პიესიდან

სოფლები—სალა ალექსანდრე, ნასრედინ.
ნასრ.—ალექსანდრე—სალამ!

1. **სოფ.** მოვედით შენთან ზოგიერთ საკითხების ასახსნელად.

ნასრ.—მაგალითად?

2. **სოფ.**—მაგალითად ის მინდა ვიცოდე; გამიგონია მოსე წინასწარმეტყველს ერთხელ ღმერთმა გაუძღვინა—იცი თუ არა ჩერჩეტებსაც რად ეძლევათ პური არსობისათ? მოსემ მიუგო—არ ვიციო. მაშინ ღმერთმა აუხსნა: იმიტომ, რომ ჭკვიანებმა იცოდნენ—პური არსებისა შეგნებულ ცბიერს არ მიეცემაო. ეხლა შენ რას იტყვი ამაზე?

ნასრ.—მე მხოლოდ ის ვიცი და იმას ვიტყვი, რომ ჭკვიანი კაცი ღმერთისაგან არაფერს არ გამოელის.

სოფელი.—(მეორეს) ნახე!

1-ლი—ეგ არაფერი. ეს მიბრძანე: გუშინ მე ცხვრის ფარას ვაძოვებდი. მთიდან ქარავანი ჩამოეშვა ჭურჭლით დატვირთული. ხიდზე უნდა გაეგლოთ. 16 ვირი ჰყავდათ. ყველა ესენი შედგნენ ხიდზე, ხიდმა ვერ გაუძლო, ჩატყდა და ყველანი წყალში ჩავარდნენ. მათ ხმაურობაზე ჩემი ფარა დაფრთხა და ხრამში გადაიჩეხა. დიდი ზარალი მომივიდა. ეხლა ვის გადავახდევინო?

ნასრ.—მერე და ყოველივე ამის მოწმე ვინ არის?

1. **სოფ.**—ვინა და თვითონ ღმერთია ამის მოწმე.

ნასრ.—ვერაფერი შეილი მოწმე გყოლია. სჯობია იმისთანა მოწმე იშოვნო, მართლა დაეჯერებოდეს და ჩვენიც ესმოდეს რამე.

2. **სოფ.**—(პირველს) ეგეც შენ! რაზე გააღანძღინე ეს ღმერთი?

3-ზე—მე კი ეს უნდა გეტხრა, ნასრედინსამი ცოლი მყავს. მე კი ხანდახან წელი, ზურგი და თავი მტკივა. რა წამალი მიშველის.

ნასრ.—საუკეთესო წამალი ის არის, რომ სამივე ცოლი გააგლო.

4-ზე—მე კიდევ მისთვის მოველი, ვიცი, ნასრედინ, სახლში თაფლი გაქვს და მოდი ერთ შაურად აი, ეს ჯამი ამივსე!

ნასრ.—ერთ შაურად მაგას ვერ ვიხამ, ვერა.

4-ზე—რატომ?

ნასრ.—რატომ და, ჩემო კარგო, თაფლს პატარა ფუტკრები აკეთებენ. მე რომ გამეკეთებინა მაშინ ჯამს უსათუოდ ავივსებდი.

4-ზე—დაიკარგე, შენ კი არა ხარ, აი!

შუსენი—(შემორბის) რიკი-რიკი, ფაფარიკი, სკუბ და რიკ. დედა, მომილოცე, დედა, გადამარქვეს, გადამარქვეს!

ნასრ.—რას იღობები, ბიჭო, რა გადაგარქვეს?

შუს.—დედამ იცის... ბაზარში სულ „ვირო, ვიროს“ მეძახდნენ. დედამ დამარიგა, მეც წავიველ, შევებგეწე და მომხსნეს „ვირობა“.

ნასრ.—ჰო და ძალიან კარგი შეილო.

შუს.—მხოლოდ სამივეგო, იცი რა დამარქვეს?

ნასრ.—რა?

შუს.—მუტრუკი...ჰა.ჰა, რიკი-რიკი. სკუბ და რიკ.

ნასრ.—მერე და შე ჩერჩეტო, ეგ გიხარია? ეხლა თუ მუტრუკი ხარ, რომ გაიზრდები ხომ ისევე ვირი გახდები!

შუს.—მართლა? ეგ რატომ ვერ მოვიფიქრე!

ნასრ.—ფიქრს ჭკუა უნდა შეილო.

შუს.—მართალია... რიკი-რიკი, ფაფარიკი... ეხლა მე რომ მშია, მამა!

ნასრ.—ჰო და ხომ იცი, რომ დღეს ფლავი გვაქვს, მაგრამ ეხლა იქაც წასვლა უნდა და... საქონელია გასარეკი. მაშ მოდი, შეილო, შენ წადი, გარეკე საქონელი, მე კი შინ დავრჩები და ფლავს ვჭამ, ან მე ფლავს ვჭამ, შენ კიდევ იქ წადი და საქონელი გარეკე...

შუსენი—ეეჰ, მამა ჩემო, შენგან გამიგონია ზოგი დღე თაფლივით ტკბილია, ზოგი ხახვივით მწარე. ვატყობ ჩემთვის დღეინდელი დღე გახახვივითა.

ნასრ.—მაშ. ესეც დაიხსომე: ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი თუ ეძებ გემოვნებასა.

შუს.—რიკი-რიკი, ფაფარიკი აბზინგა და თოხარიკი. ამას-იმასობაშიო, წავალ თათრისობაშიო, თათრისობა მე ქალს მომცემს, ჩავარდები ყოფაშიო, რიკი-რიკი, თოხარიკი, სკუბ და რიკი...

(გადახტება და მოუსვამს).

(მოისმის ყვირილი, ხრალი და უეცრად ნასრედინის ეზოს მოადგება ბლომა ხალხი; გაბაწრული მოჰყავს ერთი სახიერი ახალგაზრდა, სახეგაკაწრული, დალილი და დაქანცული).

მოსულები—აქ შეგჩერდეთ, აქ!

— აქ ცხოვრობს ჩვენი ნასრედინი.

— იმას ვკითხოთ, თუ როგორ მოვიქცეთ.

— ვკითხოთ, ვკითხოთ!

(ამასობაში ნასრედინიც მოვეება)

ნასრედინ—რა ამბავია, რა გაყაყანებო, ან ეს კაცი ვინ არის, რაზე გაგიბაწრავთ?!

მოსულები—ეს კაცი ქურდია და ბილწი ვინმე.

— ჩვენი ხელით დასაზოგი არ არის...

— შენთან მოვიყვანეთ და შენ განსაჯე.

ნასრედ.—დაიცათ, დალაგებით მითხარით; ერთად რომ ყაყანებოთ ვერაფერი გავაგე.

მოსულები—შენ უთხარი, შენ, ალი-ოლლი!

ალი-ოლლი—(წინ გამოვა) საქმე ჩემი ბალიდან დაიწყო. კარგად იცით, პატრიცემულო ნასრედინ, რა საუცხოვო ხეხილნარი მაქვს. შენც გიგემნია ჩემი ბალის ხილი, ნასრედინ. ეს არის—შემოულობელია, მაგრამ ჩვენებური იქაურ ნაყოფს არავინ ხელს არ ახლებს. ეს კი ეტყობა გადამთიელია, ვილაც მაწანწალა... შემოსულა ჩემს ბაღში და...მწიფე მსხალს შეეძევება...

ტარიელ—(გაბაწრული კაცი) ძალიან მწყუროდა და მშობდა.

ალი-ოლლი—ხმა გაიკმინდე, შე ლაწირაკო შენა?

ნასრედინ—მერე ბევრი გაგიოხრა?

ალი-ოლლი—მხოლოდ ერთი მსხლის მოგლეჯა-ლა მოასწრო, მინდოდა კარგა მომეჯოხნა, მაგრამ ისეთი მოჭქუსლა, რომ ვერ დავეწიე.

ხმები—შენ შეხედე!

ალი-ოლლი—ვერ დავეწიე, ამის სახლში შევარდა და იქ...

უიზილბაში—იქ რაც მოხდა ამაზე მე მაცალე... მოგესხენება ცოლი ორსულადა მყავდა.— უცხო კაცის დანახვაზე, რომელიც ისე უეცრად შეიჭრა ჩემ სახლში ჩემს ცოლს შეეშინდა და მუცელი მოეშალა...

ქალები—უი, და-და-და... (ტარიელს ქოქოლას აყრიან, იმუქრებიან).

ხმები—ე, რა ყოფილა თქვენი ქირამე!

ალი-ოლლი—მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. იქიდან ეს მაწანწალა გამოვარდნილა და იქვე მახლობელ მეჩეთში შევარდნილა, აქ მეჩეთის დარაჯი დადევნებია, ეს კი მინარეთზე ავარდნილა და იქაც რომ დარაჯს მიუსწრო, სხვა გზა არა ჰქონდა და მინარეთიდან გადმოვარდნილა.

უიზილ-ბაში—მინარეთის ქვეშ იმ დროს თვითონ ჩვენი მოლა მჯდარა. ეს ოხერი კი თავზე დასცემია და კინალამ გაუქყლეთა.

ფეთხუმე—მოლა რომ გაეჭყლიტა, მაგას კი არაფერი უშვავდა...

ქალები—ოო, ჩვენს მოლას ბევრი ცოდვები აძევს...

ნასრედინ—დაიცათ, ქალებო, ხელს ნუ უშლით, მერმე და ამისთვის შეგიკოჭავთ ეს ახალგაზრდა?

ალი-ოლლი—ეგ რა არის, იქიდან გამოქცეული ერთებრაფლ მეწვრინალს დატაკებია, ებრაელი თავის ბარგი-ბარხანით წაქცეულა,



ცალი [თვალი რაღაც ბუჩქზე დაუკრავს და სულ ერთიან წამოუღებინებია.

ყიზილ-ბაში—აი, ეხლა დავიჭირეთ, ძალზე ვცემთ, თუმცა დიდი ღონიერი ყოფილა და ჩვენც კარგა გვითაქა და აი, შენთან მოვიყვანეთ, რომ გაასამართლო. შენა ხარ ჩვენი თვალის ჩინი, ჩვენი მარგალიტი, ჩვენი აღმასი და თვალი პატიოსანი.

ნასრედინ—პა-პა-პა! პირმოთნეობა მეზარება, ქებას კი სიამოვნებით ვღებულობ.

ალი-ოღლი—ჰო და საქებათ ხართ და ჩვენც იმიტომ მოგმართეთ. გასჭერ სამართალი.

ნასრედინ—მაშ იცი რა გითხრათ! გულზე ხელს დავიდებ, სინდის შეგვეკითხები და სამართალს ეგრე გადავჭრი.

ხმები—ჰო და ჩვენც ეგ გვინდა, გასჭერ სამართალი!

ნასრედინ—ჩვენ პატივცემულ მოლას, რომ თავზე დასცემია ეს ახალგაზრდა, ამისათვის მოლამ წაიყვანოს ეს ვაჟი, დასვას მინარეთის ქვეშ, თვით კი ავიდეს მინარეთზე, იქიდან გადმოვარდეს და თავზე დაეცეს მაგას.

ხმები—მოლა რომ მოგვიკვდეს?

— არ მოკვდება, კარგი ეშმაკია,
— თუ მოკვდება არც მაგას ვინაღვლით, სხვას ავირჩევთ, კიდევ უკეთესს!

— ვენაცვალე შენ სამართალს, კარგია, ეგრე უნდა!

ნასრედინ—ებრაელმა კიდევ სამაგიეროდ მაგას გამოთხაროს თვალი, მხ ალოდ რაკი ჩვენი შარიათის ძალით ებრაელს ნება არა აქვს, რომ მუსულმანზე შური იძიოს და მთლიანად გადაახდევინოს, არამედ ნება აქვს მხოლოდ ნახევრის გადახდისა, ამიტომ ებრაელმა მეორე თვალიც უნდა მოითხაროს და ააშინ შეუძლიან მოპირდაპირეს ცალი თ ალი გამოთხაროს, მაშინ მისი ძიებაც დაკმაყოფილებული იქნება.

ხმები—უჰ, ეს რა ყოფილა!
— სად არის ის ებრაელი?

ნასრედინ— ააეთია ჩვენი კანონი. რაც შეეხება ერთი მსხლის მოწყვეტას შენს ბაღში, ჩემო ალი-ოღლი, ეგ უნდა აპატიო მშვიერს და მწყურვალ კაცს. ხომ შენ თვითონ ამბობ გადამთიელიო, ვინ იცის საიდან მოდის, რა უჭირს? საიდანა ხარ, ძმობილო?

ტარიელ — გურჯი ვარ, ქართველი.

ნასრედინ.—ჰო და გურჯები ქურდები არ არიან... გაჭივრება და შიმშილი კი ბევრს რას-მე ჩაადენინებს ადამიანს.

ალი-ოღლი—მაშ შენის აზრით, ეს კაცი სულ მართალი ყოფილა და უნდა გავუშვათ, არა?

ნასრედინ—მე სწორედ მაგ აზრისა ვარ, რომ გავანთავისუფლოთ. შეხსენით თოკი!

ყიზილ-ბაში—მოიცა, მოიცა, რისი გაშვებაო, რას ამბობ! ჩემ ცოლზე რას იტყვი?

ნასრედინ—ოო, შენ ცოლზე კი მაქვს სალაპარაკო... მე ასე დამიდგენია: რაკი ამის მიზეზით შენს ცოლს მუცელი მოეშალა, წაიყვანეთ ეს ვაჟი და ერთი დამით შენ ცოლთან დასტოვე, რომ მაგიერი შვილი გაგიკეთოს. ერთი გააფუჭა, მეორე შექნას, ეს იქნება მაგის სასჯელი.

ყიზილ-ბაში—ფუჰ, დაგწყევლოს ალღანმა!..
შალვა დადიანი

სულიკოს ავტორს ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო,
გულამოსკენილი ვჩიოდი
„სად ხარ ჩემო სულიკო“.

შეგნიშნე ხალხი, რა ხალხი,—
ერთ ალაგს მოგროვილიყო,
აქეთ-იქიდან მივაწყდი:
„მაჩვენეთ ჩემი სულიკო“?

ფოცხვერაშვილი ვიცანი,
ალვად რომ ამოსულიყო,
მივეხმატებილე: „კოტეჯან,
შენ ხომ არა ხარ, სულიკო“.

არც „ჰო“ წარმოსთქვა, არც არა,
შეირხა, თავი დახარა,
სულიკოს თეთრი ნოტები
ნაკუნაკუნად დაჰყარა.

წამს მეგრელიძეც ვიხილე
ობლად რომ ატუხულიყო.

„ერთი ეს მითხარ, ავქსენტი,
სულიკო მართლა თუ იყო“?

შემომიტია მგოსანმა
დასტეხა, როგორც ყიცილიყო:
„რას ჩამაცივდი, რა ვიცი,
მისი დამწერი ვინ იყო“.

ბოლოს მიგმართე ვარინკას
ტფილისის რომ გადმოსულიყო.
„შენს იქით მე გზა არა მაქვს,
სთქვი, რომ შენა ხარ, სულიკო“.

შეიფრთქილა ბულბულმა
ყვავილს ნისკარტი შეახო
ჩაიკენეს-ჩაიჭიკიკიკა
თითქოს სთქვა: „დიახ-დიახო“.

სადღაა დიდი აკაკი
მუდამ რომ აკლდა ფულიკო,
ლამის სთქვან: ჰანგი კი არა
ლექსიც ჩვენია „სულიკო“

ფირსუზა

ს ი მ ლ ე რ ა

„სულიკოს“ ნოტებს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო,
ხრინწიანი ხმით ვყვიროდი—სადა ხარ, ჩემო გულიკო...

დილაადრიან ავდექი, მზე არც კი ამოსულიყო,
ვხედავდი—მეკარგებოდა საჰონორარო ფულიკო...

ველად გავიჭერ საძებრად! თავს დამკიოდენ კოტები.
მივეხმატებილე ჩიტუნებს — თქვენ ხომ არ იცით ნოტები?

ერთი მათგანი შეჩერდა, როგორღაც გაირინდაო,
თითქოს თქვა: მეგრელიძედან—კოტესთან გადაფრინდაო,

მყისვე კოტესთან გავიქეც (ფეხთ მეცვა თეთრი სპორტები),
მივესულთაფლე კოტიკოს—სად არის ჩემი ნოტები?

ფოცხვერაშვილი წამოდგა, თავი ასწია მაღლაო,
ჯერ დაბალი ხმით დაიწყო, შემდეგ კი აუმაღლაო.

—ამ ოციოდე წლის წინათ პირჯვარი გადვიწერეო,
დიახ, „სულიკოს“ ნოტები პირველად მე დავწერეო.

ეს მეგრელიძემ გაიგო, აბა რას ამბობ, რასაო,
ჩემს ნაამაგარ ნაშრომსა, როგორ დაუთმობ სხვასაო?


კომპოზიტორნი შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა,
(ყველას შენოდა სიღინჯე, ამკობდა გულკეთილობა).

ბჭობდენ, თუ პირველ ვინ შესვა შემოქმედების ბანგია,
ჩონგურზე ვინ დაამღერა „სულიკოს“ ტბილი ჰანგია.

და ერთხმად დაადასტურეს: კოტემ ნოტები სწერაო,
მეგრელიძემ კი ჩონგურზე პირველად დაამღერაო.

აბუზარა

თეატრალური-კამეო-კუბო



საპაი მასამი
მღელი და წინაეთი ბიჭები.
როგორც ვასრულებ „შხაგანას“
ყოფა რამ წაყოფ რომ მქონდას,
მინც ნუ მტყუვითი მაგასა.

უ. ლაშავაძი
ერთი ბიჭი კოლეგურნი,
აიგუავე ანას წინით,
რა არ ვუყავ, რა არ ვქენი
და მაივც ვერ ვაკორწინე.

ლ. ლ. ლ. ანთაძე
მას იგონა დაიღუპა...
საქმე არ ვაქვს ბედს უღიდა
ქუთაისში, რომ ჩაივინა
მოემატე ერთი ცოდა.
გაიჯა-პრომისს არ თაყოლობს
არც მისდევს სხვის წამობებს...
შეკრა დასი, დღე და ღამე
„ბურდავალს“ აძიხებსა.

ნიკო ნიკოიძე
პიესებში არ მაქვს როლი
მახლას, ვიჭივარ ვულნაქულად.
ბიჭურილი ვითამაშო?
ვა, რას ბრძანებნო? ეს სდ
თქმულა?

ნ. ანჯაფარიძე
„ურჩილი“-ს დამორბენამ
დამაწულა, დამღონა,
თქვენიანს ერთად მენატრებენ
„ფიდალი“ და „დეზაქმინა“

ბ. კოსტაშვილი
ბ. კოსტაშვილი და
პ. კვანტალიანი
ჩვენ რა ვიჭივარს, მე და კაკოს,
მგონი არ გვეყავს ეზო ტოლი.
ვუშვებოთ და უნდა ითქვას
არ გვეყლია არც ერთს როლი.

პ. პატარაძე
რუსთაველის თეატრში ვარ
ვწიომობ, მიმოდს „ოტელო“
„ლიბრა“
არც ისეთი პატარა ვარ,
როგორც ამბობს ჩემი ვაჟარი.

ბ. ბოძიაშვილი
მივივარს როლი, მივივარს სცენა,
მივივარს ღრამა, მივივარს ფარდა,
ჩაივარსო, რომ „ოტელო“-ში,
„დეზაქმინა“-ში გამივარდა,
იქვე მივეც სიტყვე შეტყარს,
ალარ ვიხამ ამის ვარდა.



ა. ხორაშვილი
ბიჭი ვარ „სუქუთიანი“
გზა მიფენია იუბით,
რა იქნებოდა თუკრი—
არ ვიყოთ აკაკიები.

ა. იმედაშვილი
ცოტა მაიჭიმი ვარ, მაგრამ
ამსოლი არ მაქვს ცხვირი,
(მანათობი ერთ ადგილზე
სჯობს გამგარდეს, როგორც
კირი)
კვიარას—„ოტელო“ ვარ,
ქუთაისში—„მეფე ლირა“

თ. შავთაძე
ვდგევარ, ვასრულებ მონოლოგს,
მინდა რომ სახე სრულიყო,
სტენიდან ვიჭებ პარტიკულ—
თუ იქ ზის სიღმე სელიყო.


ს. შოკოლიანი
სურდო ხშირად მეზარებდა,
სჯობს მოვიტყრა ოდნავ სტეხიო,
უქიქინებს კარებშიდან
„ზაქროიტე“—ხშირად ვყვირო.
რომ მგონია მოსარჩენი,
ალარ მიჩანს სადროს პირი—
ვითამაშებ „ადელფინო“-ს
და ისე ვარ როგორც ვიბო.

მ. აფხაძე
მე კაცი ვარ უწინარი
ვერბილები ჩხებს და სკანდალს,
„აჰხა კატებს დაცხა ბატებს“
ვინაცულ სულში სანდალს,
რადს მერხით: ესტრადას ხომ
ბლომად ვაქმეე აჯანდალდს!

ნ. აფხაძე
ხან აფრევი, აესტეხი ვანჯავ
და თვითონ ვართ წინაშელო,
ვვინებ მალე დავდენდებოთ,
თუ შერთი კავომ ცოლი.

ვ. ვარნიშვილი
რომ მეუბნები შეილოსა
—რად ხარ ივრე შვილი,
ათ წელს რომ კვიათურს ვარ
მე კიდევ საყთობივია?

რ. ჩხიძე
ამ ბოლო დროს რაცხა ცოლად
შევიყარა ერთი სენი:
სამი როლი მერგო, მაგრამ
მგონი ერთი იმასებენ...



რ. ჩხიძე
მუშენ ვინებ ჩემი წინა
თამაშობდა „პრეზინინას“
ლადი იყო, კარგი იყო,
ისე კარგი, როგორც წინას.

ლ. ჩხარტიშვილი
ძველ ხანას ნუ მოვაგონებთ,
დრო დაწველოლია მის იყო,
თუ ეს წელს კვლავ არ დიკოცბლო,
მივივარდებოთ თქმეი ღონიყო.

ა. ა. ა. ზაზაძე
უნდა ვითბათო, რომ თეატრში
იღარც კი დავიბრებო,
ყველა სტუდიის სჯობია
გამოვეც მიეჭრებეი.

მ. ლორთქიფანიძე
უნდა ვითბათო მებოა სწორი
არის „ბრძენი“ აქტიორი
როგორც იყო ამ ორ წელში
შეასრულა ერთი როლი

ბ. ბაბუქიანი
პიესის წერა ხალხისთვის
ასე ადვილად ითქმება,
ათამდე დამაწერი
და მოვლედ ერთი იღებება.

ა. ალექსიძე
მევი იფეთი მიცქეროდა,
მეც კი მქონდა შიშის ზარი,
თქვენი ხომ ნახეთ როგორც ვლიდ
და ავიდ „ალექსია“

პ. კობახიძე
ბევრი ხალტურულ დრამას გავაწერს
ხელთყენებს სამაჩაილოლი,
„ღვთობა“ ისე არ გამაწერავს
წელს, რომ ვინმე არ მოვლოლი

ბ. ბარბაქაძე
„ოქრის ვერძით“ აჭარის მთებსა
„ციცხლიან“ მუხის მოლოლინი
სულ ორი დღე ავიწარხებულ

დიონისე-აკოსტა



საქ. ხელ. საქმ. სამმ. ლო რაიონებში რეჟისორებად ზოგჯერ არაკვალიფიციურ მუშაკებს გზავნი.

საქართველოს ერთერთ რაიონის სასადილოში იჯდა კარგად გამოწყობილი ახალგაზრდა: გალსტუქი, კოსტუმი, შლიაპა და, ერთი სიტყვით, რაც შეეფერება ინტელიგენტ კაცს გარეგნობით.

— უკაცრავად, ბოდიში გვაპატიეთ, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჰკადრა მას სასადილოს გამგემ, რომელიც დიდხანია ეძებდა მომენტს ამ უცხო კაცთან გამოსალაპარაკებლად.

— რად გაინტერესებთ ჩემი ვინაობა?
— არა, ბატონო, საწყენად კი არ მითქვამს, ისე, ეს ორი დღეა გიყურებთ და...

— მე დიონისე შენახული ვახლავართ...
— არა, შენახული რომ ბრძანდებით, გეტყობათ...
— არა კაცო, შენახული ჩემი ფსევდონიმაა...
— რა საქმეზე ხართ ჩამოსული?

— ჰო! აი ეს მესმის! მომწონს თქვენი შეკითხვა, მე აქ დიდი საქმე უნდა გავაკეთო, ხალხში განათლება უნდა შევიტანო..

— განათლება? მასწავლებელი ბრძანდებით?
— არა, უფრო მეტი...
— სკოლის გამგე იქნებით ალბათ.
— არა, უფრო მეტი..
— უფრო მეტი?.. მილიციის უფროსად, თუ გამოგაგზავნენ...
— არა, მე რეჟისორი ვახლავარ... იცი რა არის რეჟისორი?

— როგორ არ ვიცი, აქ ერთხელ თქვენსავე ახალგაზრდა ჩამობრძანდა, იმანაც ასე ბრძანა რეჟისორი ვარო, რაღაც წარმოდგენა დადგა, სცენაზე თურმე ხანძრის გაჩენა იყო საჭირო, — მე მართალი კაცი ვარ და სცენაზეც სიმართლე მიყვარსო, — სთქვა რეჟისორმა და ეს ჩვენი კლუბი სულ ერთიანად გადაბუგა.

— ბეზობრაზიე! ეტო ნე რეალიზმ ა ნატურალიზმ, ფუტურისმ, კტო ბილ კაცო ეტო ბეზნარნი რეჟისორ, კტო ეტო ბილ, ა? აი, მალე ჩემს წარმოდგენას გაჩვენებთ და...

— აბა თქვენ იცით თუ გვასახელებთ, — უთხრა სასადილოს გამგემ და თან უღვაშზე ხელი გადაისვა.

დიონისე მედიდურად მიაბიჯებდა ქუჩაში.
სულ ცოტა, ექვსი თვის მუშაობის შემდეგ ადგილობრივი კლუბის კედელზე აფიშა გამოაკრეს:

— კალმისტარი არ გამოგიტანიათ სცენაზე. თფუი რა ტექნიკური რეჟისორი მყავს, — ჩაიბურტყუნა „აკოსტამ“, გაიქცა კულინებში და ფარდის გამწვევს ჯიბიდან ფანქარი ამოკალა.

— მოდი აქ შენ, სად მიგაქვს ფანქარი? შემოსდია სცენაზე ფარდის გამწვევა აკოსტას.

— ეხლავე დაგიბრუნებ კაცო... გადი გარეთ!..
მაყურებლებში სიცილმა იჩინა თავი. მესამე მოქმედებაში თავისი ბრმა დედის წინაშე „ურიელი“ „ცეცხლს აფრქვედა“ თვალებიდან და პაპიროსს პაპიროსზე სწევდა:

სულ მალალო, ნუ დგებარ ყალუზე თავი დახარე დაბლა, მიწამდე, ო, გალილიე, გაწამეს, გტანჯეს და გათქმეინეს შენ ჯალათებმა რომ დედამიწა არის უძრავი, მაგრამ რა წამსაც შენ შეგაჩერეს, წამოიჭერი კარდინალთა ხროვის წინაშე და დაიქექე მრგვინავ მეხვივით: ის მაინც ბრუნავს, ის მაინც ტრულობს, მე მუდამ მესმის შენი ყვირილი, მაინცა ბრუნავს... მაინც ტრულობს, — აქ როლში შესული დიონისე კიბეზე ავარდა, მაგრამ კიბის საფეხური ჩატყდა და დიონისე — აკოსტას შიგ ფეხი მაგრად გაეჭედა. „ბრმა დედამ“ რა დაინახა ეს მივარდა აკოსტას ფეხს და ზევით დაუწყო ამოქაჩვა. „ურიელი“ გაცეცხლდა და დაიქექა:

ურიელი: — ჩემო ბრმა დედა, ეგ უსინათლო თვალნი დახუჭე...

ბრმა დედა — რას ამბობ შვილო, ფეხი მთლად გაქვს გადაღლეტილი, ამოსწი ზევით!

დიონისე - აკოსტა — (ფეხს ექაჩება) ო. გვედრები დახუჭე თვალნი!

ბრმა დედა — დავხუჭავ და იყავი ეგრე გაქედლილი!

დიონისე-აკოსტა — აპუსკაიტ ზანავესკა!

ხმა კულინებიდან: — რეიქნა ფარდის დამხურავი?..

დიონისე-აკოსტა — კმარა... მივდივარ... მივდივარ!.. (მიდის და თითონ ხურავს ფარდას).

მეოთხე მოქმედების დაწყებამდე მეტად დიდი ანტრაქტი იყო, რაც გამოიწვია იმან, რომ დიონისე-აკოსტამ სულ მთლად დაფლითა ტანისამოსი სინალოლის სცენაში და მეოთხე მოქმედებაში რითი გამოსულიყო აღარ იცოდა.

— ორი წყვილი უნდა შეგვეკრათ. — წამოიძახა ვიდაცამ.

— არა უშავს... — სთქვა დიონისემ, — ჩემს კოსტუმში გამოვალ... და მართლაც დიონისემ „მშვენივრად“ ჩაატარა მე-4 მოქმედება... თავის კოსტუმსა და ცილინდრში.

— „უკვე შესცვალეს იმათ ბეჭდები“, — წარმოსთქვა დიონისე — აკოსტამ ეს სიტყვები თუ არა, ერთი დათვივით დაიბურტყუნა, დაიღრიალა, შევიდა როლში და ტანსაცმელს დაუწყო ხეია...

— დიომიდე, დიომიდე, არ დახიო, არ დახიო ბიჭო, შენია შავ კოსტუმი კლუბისა კი არაა! — მიაძახა ფარდის გამწვევმა..

დიომიდე გვიან გამოერკვა. მისი ჩარლსტონი კოსტუმი გალსტუქი და პიჯაკის ცალი სახელო უკვე ტრადიკულ მდგომარეობაში გამოიყურებოდა.

მესამე დღეს მუკის ადგილობრივი ორგანიზაცია გულდასმით ეძებდა დიონისეს. სურდათ მადლობა ეთქვათ დიონისესთვის ანტირელიგიური პიესის დადგმისათვის, მაგრამ ეგრეთწოდებული დიონისე — აკოსტას ვნაშუსებინა და იმ დამესვე გაპარულიყო..

კ. გომიანაშვილი.

სადა! ადგილობრივ კლუბში სადა!

უზარმაზარი სეზონის ბრანდივოზული გაღება

პარლემ ბრუცკოვი

„უჩიედა კოსტა“

დადგმა სამხატვრო ნაწ. გამგის, გერიო ლუბოვნიკის და

მთ. როლის შემსრულებლის დიონისე შენახულის

ადმინისტრატორი ალისტრახო ჩხარაში.

ბილეთები იყიდება ფაციახ სახლში.

მარლაც უამრავი მაყურებელი მოაწყდა იმ დამეს პრემიერას. ყველას სურდა ექვსი თვის ნამუშევარის ნახვა. წარმოდგენა დაიწყო... ეხლა გთხოვ ბარათს, რომ ვე წიგნი შენ ჩაიბარე, — ისმოდა დე-სანტოსის სიტყვები.

ჩემი ბარამატურების შესახებ



ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ უთქვამთ, სწორედ ჩემზეა ზედ-გამოჭრილი: დომხალგაერთიანების ლიკვიდაცია რომ არ მომხდარი-ყო, მე დრამატურგობას არც კი განვიზრახავდი. ერთის სიტყვით, საქმე აქედან დაიწყო: ერთერთ სიმპატიურ დაწესებულებაში შე-ვიარე.

— დაბრძანდით, — თავაზიანად შემომთავაზა დირექტორის თანა-შემწემ.

— მე მხოლოდ...
— გთხოვთ მპატიოთ, — შემაწყვეტინა მან სიტყვა, — ვიცი რაც უნდა ბრძანოთ, მაგ შეცდომას გამოვასწორებთ.

— მე აქ განცხადება შემოვიტანე...
— დიახ, დიახ თქვენი განცხადება განხილულია, ჩვენ გადავსწ-ყვიტეთ ავანსათ ათასი მანეთი მოგართვათ, დანარჩენი პიესის ჩაბა-რების შემდეგ...

მე მივხვდი, რომ აქ გაუგებრობა იყო: დირექტორის თანაშემწემ რომელიღაც დრამატურგს მიმამსგავსა.

— კი მაგრამ მე...

— ვიცი, ვიცი, თქვენის მხრივ ეს ერთგვარი კომპრომისი იქნე-ბა, მაგრამ ხომ იკით, ეს დიდათ სიმპატიური საქმეა და დრამების დამწერთაგან მცირეოდენ მსხვერპლს მოითხოვს.

— მე დრამებს არ ვსწერ, მე მხოლოდ...

— მით უკეთესი, ჩვენ სწორედ ვოდევლებს მოვითხოვთ ყველა-საგან. მართალია, ზარმაცობენ ჩვენი ავტორები, მაგრამ ჩვენც გა-დავწყვიტეთ არ მოვეშვათ, როგორც იტყვიან — ღღინამდის ჩავყვეთ, სანამ თითო ვოდევლებს მაინც არ დავაწერინებთ. მაშ ასე, ათას მანეთს გამოგიწერთ ხვალვე და თქვენ...

სიტყვა ტელეფონის ზარის რეკამ გააწყვეტინა. მე ამ შემთხვე-ვით ვისარგებლე, დაბნეულობიდან თავის დასაღწევად კაბინეტიდან გამოვბრუნდი.

— გთხოვთ, ხვალ შემოვიაროთ, — მომესმა კარებში გამოსვლისას.
არ დავმალავ, გზაში მღელვარე ფიქრებმა პირდაპირ ალყა შე-მომარტყეს:

— სწორედ ახირებულია, — ვამობდი მე, — რატომ ერთხელ მაინც არ ვიფიქრე ამ მშვენიერ პროფესიაზე? ჩვენს დრამატურგებთან ბოდიში, ეს ერთგვარი კანდიერებაა, მაგრამ მოდი ვცდი, იქნებ მართლაც ნიჭი აღმომაჩნდეს. თუ საკუთარს ვერ დავწერ, მონტაჟს, გადაკეთებას წინ რა უდგას? მაგას გარდა, აგერაა ჩვენი დრამატიკოსი: დახმარებას და კონსულტაციას ვინ დამამადლის? კაცმა რომ თქვას, ენამახვილობაც არ მაკლია, — კალმის კაი მომარჯვება და საქმეც გაიჩარხება...

მაღე ფიქრი საქმედ იქცა: იმავე საღამოს შევადგინე სქემა. ეს უნდა ყოფილიყო რეალისტურ-ფანტასტიკურ-მირაჟული დრამა, ან კომედია (საქმე ხომ დადგმაზეა!). თემატიურად ღრმად ავაგე: სა-თაურიც ორიგინალური მოვუძებნე. შესავალის შემდეგ მოქმედება სწარმოებს ცისა და მიწის შუა, შიგ თანამედროვეობა პირდაპირ შადრევანივითა სცემს.

პიესა თავდება ცეკვა-თამაშით, სიმღერებით, ქართული ჭიდაო-ბით და ბოლოს დოლით.

რომ იტყვიან ყუმბარა გასკდაო, — ისეთი ამბავი მოხდა: პიესამ თავისი თემატიკის გრანდიოზულობით ყველა რეცენზენტი გააკვირვა. კრიტიკოსმა ბლაცუნაშვილმა ის ზემედევრად აღიარა, რეპერტოკომის კულუარებში კი პიესის წაკითხვამდე უკვე დაიწყო ლაპარაკი მომა-ვალი სეზონის „გვოზდის“ შესახებ. დრამსექციაში პიესის განხილ-ვისას, იქაური ადამის თანახმად, ყველა გამოსულმა ორატორმა ქება-დიდება მიძღვნა, ყველამ აღნიშნა, რომ სათეატრო ხელოვნება-ში ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა.

ეს იყო და ეს, ჩემი დრამატურგობის ამბავი ყველა თეატრმა გაიგო, არაერთმა რეჟისორმა გამოსთქვა სურვილი, რომ დაედგა ჩემი პიესა.

ხელშეკრულების დადებაზე, ავანსების მიღებაზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენო, ჩვენი რეპერტოკომის გულუხვობა ალბად თქვენც კარგად მოგეხსენებათ. საკმარისია წარადგინოთ ასე თუ ისე დაწერილი პიესა, ან ლობრეტო (ხარისხი იქ პიესის შესყიდვის შემ-დეგ ირკვევა ხოლმე) რომ თქვენ, როგორც დრამატურგმა ისარგებ-ლოთ სახელითა და აქედან გამომდინარე ყოველგვარი სიკეთით.

— გამოეწეროს ხუთი ათასი, — განაცხადა რეპერტოკომის მესვე-ურმა ხელგაშლილად.

— ხუთი ათასი? ხუთი ათასი, რა ფულია? — მივუგე მე თამამად და ოდნავი წყრომითაც კი.

— არა, ხუთი ათასი ამხელად იყოს, არსენას ლექსი ხომ გაგი-გონია: ხუთას თუმანს აქ გაჩუქებ, ათას თუმანს გომარეთსაო!

— ჩვენ ათასი თუმანს გადახდა გაგვიძინებდა, — მიუგო მას გომარეთის თეატრის დირექტორმა, რომელიც ის იყო ჩამოსულიყო სეზონის „გვოზდის“ შესაძენად, — თანხები მაგდენი არა გვაქვს.

გადაწყდა, რომ გომარეთის თეატრისათვის გამონახულიყო სა-ჭირო დოტაცია. ერთის სიტყვით, ჩემი პიესა დაუყოვნებლივ შეიძი-ნეს და შეიტანეს რეპერტუარში: ალიან-ჩალიანის, ქალაუბნის, ჩალა-უბნის, აღმართ-დაღმართის უბნის და სხვა თეატრებმა. ყველა რე-ჟისორი თავისებურად მიუღდა საკითხს: ყველა რეალისტური ტრაქ-ტოვით აპირებდა დადგმას, მაგრამ ზოგი ფანტასტიკური განხრით აფორმებდა მას, ზოგს ასტრონომიული ხაზგასმა შეჰქონდა შიგ, ზო-გიც აკადემიზმის პრიზმით უდგებოდა. დაიწყო ანონსების გამოცხა-დება, მოიწვიეს მხატვრები, კომპოზიტორები, დეკორატორები, და ის ის იყო მე უკვე შემოქმედებითი დასვენებისათვის მივდიოდი (სამ კურორტზე ერთად), რომ ვილაც ახირებულმა დააყენა საკითხი. თვით პიესის ტექსტის გადაცემის შესახებ თეატრებისათვის.

კოტა არ იყოს, მე ამან გამაოცა.

— ტექსტი? ტექსტი რაღა საჭიროა, როცა სქემა უკვე წარმოგი დგინეთ? — შევეკითხე ცნობისმოყვარედ.

— ცარიელი სქემა რას იზამს, თუ არ დაიწერა პიესა?
— როგორ, განა პიესას დრამატურგი სწერს და არა რეჟისორი.
— დიახ წესით ეს დრამატურგს ევალება.
— ეგ არ ვიცოდი.
— რატომ არ იცოდით?

— იმიტომ, რომ ჩვენს თეატრებში რეჟისორები თავისებურად სწერენ დრამატურგების მიერ დაწერილ პიესებს.

მე განმიმარტეს, რომ ეს წესი მიმდინარე სეზონიდან უკვე უარყოფილია. და მაშასადამე, ვალდებული ვარ დავწერო პიესის ტექსტიც. ჩემის აზრით, აქ ვილაცას მიერ მოწყობილი ინტრიგაა, აშკარა ინტრიგა: იმდენი აქეს, იმდენი აღტაცება დახარჯეს, იმდე-ნი ხარჯი გაიღეს და ჩვენი რეპერტოკომის მესვეურებს მხოლოდ მერე გაახსენდათ პიესის ტექსტი და მისი ხარისხი?

ეს მერვე თვეა ვმუშაობ ამ პიესაზე. მაგრამ არ იქნა-ბოლო არ მიეცა. ეს, ხათაბალა საქმე ყოფილა ეს დრამატურგობა?


ზარსადანი.

ჩელაქშიისაგან

უპრ. „ნიანგის“ მე-13—14 ნომერში მოთავსებული მასალის „საქორწილო სას-წრაფო დახმარების“ დამატებით შემოწმების შემდეგ ბრალდებები, რომელიც შეეხებოდა პირადად ვანის რაი-ჯანგანყოფილების გამგეს ამბ. შ. დარჯანის, არ დადასტურდა. მხოლოდ ადგილი ჰქონდა სასწრაფო დახმარების მანქანის არაპირ-დაპირდანიშნულებით გამოყენების შემთხვევებს.




1. იპოლიტე სამსახურში გაეშურა აღრიანად ფეხით წახვლა ამჯობინა თუთუნს წევდა მადიანად.




2. კავშირგაბმულ.ობის სახლთან იგი შედგა წამი ხუთი, სთქვა! — აღრეა, რა მარჯარებს, შვიდს აკლია სამი წუთი.



3. ობერასთან რომ მივიდა ნახა: იყო უკვე ათი, მოუსვა და იმდენ რბენით აღარ შერჩა არაქათი.



4. ბაზართან რომ შედგა იგი დაქანცული ჰგავდა მწევარს შეხედა და... აქ ისრები აჩვენებდნენ რვისნახევარს.



5. რბენით თავი დაუშვიმდა თითქოს გახდა სამი ფუთი, ზოლბარკთან რომ მივიდა აქ რვას უკლდა სამი წუთი.



6. საქინმრეწვთან ნახა: რომ დრო გახულიყო მეტად დიდრი და ტრამვაის აედევნა საათები დაშგმო ფლიდი.

7. სამსახურში აღრე იყო მთლად გაუქრა კმუნვა — დარდი ვფიქრობთ ა'ეთ ფიზკულტურას დილაობით ბევრი გადის.

ათასობით ულაპავენ

(კალინინის სახელობის კოლმეურნეობა,
საგარეჯოს რაიონი)


ჯღუთაშვილ — პაპი აშვილი
ათასობით ულაპავენ,
ნიანგოჯან, შენს ჩანგალს —
მგონი მალი ნახავენ.
ჯერ კაპეჩებს ეტაკენ
მიითვისეს ხელადა,
— ჩვენიაო, რას გვერჩით,
ჩვენი იყო ძველადაც!...
თან შეხედეს, რომ ეზო
ობლად დარჩენილია,
და ორმოც კუბომეტრსაც
თივას გაპკრეს კბილია!

კოლოკი.

ფოსტის გამგეთ გვყავს გიორგა

(ველისციხე, გურჯაანის რაიონი)

ფოსტის გამგეთ გვყავს გიორგა
კრულაშვილია გვარადა, —
ლანძღვა-გინების ოსტატად
განთქმული მთა და ბარადა!
თავი აქვს წარმოდგენილი
ვილოსოფოსის დარადა.



ყვირილ-ღრიალით მასპინძლობს
მთხოვნელებს, გასამწარადა.
ამანათების „მჭაფავი“
მიმღებთა „გასახარადა“,
თუ რამეს ეტყვი გებღღვენება
ღრიალით: — „გაქცევ არადა!“

ნიკიფორე.

მხოლოდ ცხრაჯერ დაავიწყდა

(ლიჩის სოფ. საბუკო, კიათურის რაიონი)

პროპაგანდისტს ქამუშაძეს
არ ეტყობა დიდათ წინსვლა,
მას ორ თვეში მხოლოდ ცხრაჯერ
„დაავიწყდა“ წრეში მისვლა!

ხვიშტი.

ულვაშებ დაბრუნდით

(ზესტაფონი, ფეროს მუშათა სახაღილო)

სასაღილოში გამგეთ
უგრებელიძე არი,
მას ულვაშების გრეხით
გახსნია გულისკარი!
ვერ ვეკარებთ საღილს
სულ გვეკარგება მადა,



ბორში ისეა შავი,
თითქოს ურევენ მაღანს.
სამზარეულოს ნახავ
ნაკავით არის სავსე,
ნუ თუ აქ გამგის „შრომის“
არავინ დააფასებს?

სკვინჩა.

სათივეში სკოლა ვნახე...

(ხაშურის რაიონი)

სათივეში სკოლა ვნახე,
(არ მენახა ჯობდა)
უჭეროს და ყავარაყრილს,
წვიმა, ქარი ფლობდა.
იარაკი დამბალი და
ჩამტვრეული პქონდა.
მასწავლებელ ქელეხსაშვილს
ჩამოვართვი ხელი,
მითხრეს: მისი კლასში ნახვა
არის მეტად ძნელი.
შევეკითხე: — ამხანაგო,
რაში არის საქმე?
ეს სკოლაა, ცოდნის კერა,
თუ ძველი საქათმე!...
— მე მაგ საქმის, ამხანაგო,
არაფერი ვიცი,
თვეში მხოლოდ ათ დღეს ვაცდენ —
მოაყოლა ფიცი.

პ. ხლ-ქე

მსახიობის სიმღერა

(1938-39 წლის სათეატრო სეზონში)

როლის სწავლა არ მჭირდება
პიესები არის ძველი,
ახალს ბევრი ეტიდება,
მაგრამ ხერს დიდს არ ველი.
„ხელოვნებამ“ „სიბრძნე“ დიდი
მოიხმარა დიდი ნდობით,
„დრამმწერლებთან“ გასდო ხიდი
და ხალტურა დასდგა გობით.
ეს ხომ ცუდი საქმე არი,
მაგრამ რა ვქნა, დავიძინო?
სჯობს არ ვიყო უქმად მშმარი, —
არხეინად დავსეირობო.

გოგოლია.

კობტა ბიჭი სიჭინავა

(უღლევის კოლმეურნეობა, ფოთის რაიონი)

თამეჯდომარეთ შალიკო გვყავს
კობტა ბიჭი სიჭინავა,
უდარდელად დასეირობს,
აღმა-დაღმა ღლეღამ დავა.

ნადირობის მოყვარული
ყოველ დილას ტყეში წავა,
ვერ იპოვნოთ დაკარგული
კობტა ბიჭი სიჭინავა.

შრომის წიგნაკს არვის მოგცემთ
არ უნდაო იმას დავა,
უწიგნაკოდ გვაშუშავებს
კობტა ბიჭი სიჭინავა.



ჩანგალღანაი.

ფსავალი ძალისამბავი

დავტოვე მთები, ჩამოველ თბილისს
რომ დავამთავრო უმაღლესია, —
განა გინახავთ საქმე ასეთი
რაც ტრამვაიში დამხვდა წესია:
აველ ვაგონი დაიბრა უცბათ,
ირევა ხალხი აურაცხელი,
ჩამეკრა ვიღაც და ისე ურცხვად
მაგრად ჩამჭიდა მკლავებში ხელი.
ვთქვი: აქ კულტურის ხალხი ზღვავდება
და განათლების დიდი წყალობა,
მაგრამ რად უკვიროთ, რად დავცინიან
თუ ჩვენაც მთაში გვექონდა წაწლობა.

ნატო გუშარაშვილი.

1. ასეც ხდება

გაოფლიანებულ კონფერანსზე ხენეშით გამორბის ესტრადაზე და სულმოუთმენლად აცხადებს:

— შემდეგი ნომერი ჩვენი პროგრამისა... ყველასათვის ცნობილი ჩვენი საყვარელი ავტორ-იუმორისტი ხალტურიონ ჩერვონცელი...

ხმა კულისებიდან:

— ჯერ არ მოსულა, საქვილგეთში მღერის,

— ბოდიში, ნება მიბოძეთ გაუწყოთ, რომ ხალტურიონ ჩერვონცელს საქვილგეთში გამოსვლა აქვს და ჯერ არ დაუშთავრებია... გამოვა ცნობილი — ბოშური სიმღერების შემსრულებელი...

ხმა:

— პეტრაკოლსკაია კალაკოლსკაია — ტრამვაელების კლუბშია, შემდეგ კულტურისა და დასვენების პარკში აქვს გამოსვლა და მერე მოვა ჩვენთან.

— ბოდიში... თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ეხლა სოლოს შეასრულებს ფლეიტაზე, ცნობილი მეარლენ ნესტორ სკვინჩა, რომელიც...

ხმა:

— ნავთლულის კლუბშია ნესტორ სკვინჩა, იმას თორმეტ საათზე აქვს ჩვენთან გამოსვლა.

— ბოდიში, უკაცრავად... ჩვენ მოგვიხდება დღეს ჩვენი პროგრამის შეცვლა ნაწილობრივ.

ფლეიტაზე შემსრულებელ ცნობილ მეარლენ ნესტორ სკვინჩას მაგივრად... ბოდიში, თქვენ მეგობარო! აი, თქვენ მეორე რიგში! ჰო, თქვენ, სქელი ქალის უკან, რომ ზიხართ, ოო თქვენ, საათი არა გაქვთ? რაო? თორმეტის ნახევარია? ოი, ღმერთო მომკალი, აღმშენებელთა კლუბში გამოსვლა მაქვს თორმეტის ხუთმეტ წუთზე, მოლარე ფული დაამზადე... მაშ ასე, შემდეგი ნომერი ჩვენი პროგრამისა... გამოვა აქაური კლუბის გამგე, რომელიც გაიმბობთ, ვინ რატომ დაიგვიანა, რაც მთავარია, არაფერი იჯავროთ ცხოვრებაში, ღამე მშვიდობისა.

2. დრამატული კრიტიკოსი

ერთერთ რაიონის თეატრში მიდიოდა პიესა „ოტელოს“ წარმოდგენა. როდესაც ოტელოს იქვიანობის სცენა იქნა გათამაშებული, ერთმა მანდილოსანმა მაყურებელთაგანმა, ველარ აიტანა ოტელოს აგონია და წამოიძახა:

— ნეტავი შენს დედას, შენს ტანჯვა-წამებას, რომ არ უყურებს ბეჩა ოტელო!

— იპ, თქვა ერთი და ათასსა სჯობია. — სკამის კრიტიკით გამოეხმაურა უკანა რიგში მჯდომი კაცი ქარვისფერ სათვალეებით. — სიმართლე თუ გინდა, მართლა ტანჯვა-წამებაში ახლა ამფილოქვე საწინახელისპირელია.

— ვინ არის, ამფილოქვე საწინახელისპირელი ბეჩა?

— მე ვარ ამფილოქვე საწინახელისპირელი. დრამატული კრიტიკოსი ვზივარ აგერ და ჩემისთანა ტანჯვა-წამებაში ჩემი მტერი ნუ ჩაადგოს! ვაქო წარმოდგენა? როგორ ვაქო. არ ვარგა. ვაგინო და როგორ ვაგინო! ბანკეტი მაინც არ ჰქონდეთ მაგ შეჩვენებულებს... არა... არა... რას მიქვია ბანკეტი, სჯობს მე წარმოდგენა ვავაკრიტიკო... არა, კარგი ვახშამი არ სჯობია, ახლა ცუდ რეცენზიას! ა, რა ვქნა? ოი. ამისთანა ტანჯვა-წამებაში მგონი ჰამლეტიც არ იყო, როდესაც „ოტელოს“ სწერდა.

3. თეატრალური გამოცდილება

— რა პიესის ნახვა გწადია? — შემეკითხა მეგობარი.

— მე მიხდა ბომარშის: „ფიგაროს ქორწინება“ ვნახო.

— „ფიგაროს ქორწინება!“ კეთილი.

დავდექით რიგში ბილეთებისათვის.

— მომეცით ორი ბილეთი: „ოტელოს“ წარმოდგენაზე. — მიმართა ჩემმა მეგობარმა მოლარეს.

— რას ამბობ? მე „ფიგაროს ქორწინება“ ვითხარი! — შევესიტყვე მეგობარს.

— გაჩუმიდი! — ჩამიჩურჩულა ყურში მეგობარმა. — მე გვარიანი გამოცდილება მაქვს.

როდესაც თეატრთან მივედი. ჩემმა მეგობარმა შემდეგ განცხადებაზე მიძითითა: „დღეს პიესა: „ოტელოს“ მაგივრად წავა: „ფიგაროს ქორწინება“. „ოტელოს“ დასასწრებად აღებული ბილეთები გაზოდგება „ფიგაროს ქორწინებაზე“.

მე აღფრთოვანებული გადავხვიე მეგობარს,

— კი მაგრამ, საიდან იცოდი, გულთმისანი ხომ არ ხარ?

— ეს სულ თეატრალური გამოცდილების შედეგია, — როდესაც აცხადებენ „კოლმეურნეს ქორწინებას“, იცოდე რომ „ფიგაროს ქორწინება“ წავა.

ასეთი შემთხვევები იშვიათი როდია ჩვენი ხელოვნების სამმართველოს თეატრალურ ცხოვრების პრაქტიკაში.

4. დრამატურგის ალსარება

რუსთაველის თეატრში ჩემი პიესა არ მიიღეს.

— თქვენს პიესაშიც — მითხრეს — არც ერთი გასროლა არ არის. არავინ არ კვდება. ცეკვა არ არის. ხტუნვა არ არის. ყვირილიც ცოტაა. მხოლოდ სიწყნარეა და მშვიდობიანობა. ჰო, და გადააკეთეთ ასე პიესა და მივიღებთ.

გადავაკეთე მითითების თანახმად, მაინც არ გამოვიდა.

სარეჟისორო კოლეგიას მოწონსო, მითხრეს, მაგრამ ხელოვნების სამმართველოა წინააღმდეგო. კიდევ გადავაკეთე, მაინც არ მიიღეს. ხელოვნების სამმართველოს მოსწონს, მაგრამ ახლა სარეჟისორო კოლეგიაა წინააღმდეგო.

— არ გამოდგება, — წაიღეთ მარჯანიშვილის თეატრში. წავედი მარჯანიშვილის თეატრში.

— პიესაში მოცემულია ყველა რაიონულ გახეთების მოწინავეები დიალოგებში, — ვუთხრე მე მარჯანიშვილს. — ჩაის გეგმების შესრულებაზე ლაპარაკი, მოსავლის აღებაზე, ციტრუსებზე, ქარხლის გეგმებზე, ბამბის პენტაზე, აგრეთვე სოციალისტურ რეალიზმზე. ისეთი მონოლოგები მაქვს, რომ ქვას გახეთქავს.

— მტერი აქტიური გამოგყავს? — მკითხეს.

— მეოთხე მოქმედებაში ვაპატიმრებთ მიუფე მე. გადამაკეთებინეს. მტერი პირველ მოქმედებაშივე დამაპატიმრებინეს. მონოლოგების ნაცვლად კუპლეტები ჩამამატებინეს. ერთი სიტყვით, პიესა კი არა, ვინეგრეტი გამოვიდა.

არ მიიღეს. მაინც არ მიიღეს.

— მცირე ფორმის პიესა გამოვიდაო. ეს უფრო საკლუბო პიესა არისო.


მივიტანე საქვილგეთში.

გახარდათ, ხელიც ჩამომართვეს. გადამკოცნეს კიდევ.

— აი, სწორედ ასეთი პიესა გვინდა ჩვენცო, — მითხრეს საქვილგეთელებმა.

— არც ბოლო არც თავი, არც აზრი, არც კვანძი, და არც შინაარსიო. ჩაუმატებთ წინ და უკან კუპლეტებს, ცეკვას, მუსიკას და გამოვა ნამდვილი მიმოხილვა, ყუმბარასავით იფეთქებს.

მიიღეს. ვაშა!



ქნებლის ქ. № 15 უბანი

კომუნალბანი: — „აზელენია“ მოვაწყვე რალა!

კ რ ი ა ლ ო ს ა ნ ი

გიორგი ლომთათიძის ავადმყოფობა

გ. ლომთათიძე ავად გახდა, კაცი აფრინეს ფერშალთან. ფერშალმა ცხენი ვერ იშოვნა. ფეხით წასვლა უძიძიდა, მაგრამ ესეც იფიქრა: „ის ოხერა ყიამეთი კაცია, ჩამწერს სადაცა და—წახდა ჩემი საქმეო“. აილო ჯოხი და გასწია.

სანამ ფერშალი ავადმყოფთან მიადწევდა, ავადმყოფს უკეთობა დაეტყო. მოვიდა კიდევ ფერშალი. ქოშინობს, ოფლს იშვრალებს. შემოხვდა გიორგი გაჭირვებულ ფერშალს და სალამის მაგიერ ეს ექსპრომტი შეაგება:

- პრიზოლ დოქტორ მედიცინი,
- ის კვდება და მე ვიცინი.

იმერლების მოსავალი

დუშეთის რაიონში ადმინისტრატორებად, პედაგოგებად, მედიკოსებად, მუშაკებად, სამუშაო და კულტდარგის მუშაკებად ერთ წელს ბევრნი მოხვდნენ იმერეთიდან.

ერთ დღეს თბილისიდან დუშეთში ინსტრუქტორები ჩავიდნენ. უნდოდათ გაეგოთ, რის მოსავალს უფრო მეტს იძლეოდა ადგილობრივი მიწის ნიადაგი. ხალხს შეეკითხნენ:

- დუშეთის რაიონში სხვაზე მეტი რა მოდისო.
- ერთმა უბასუხა:
- ჩვენს რაიონში სხვაზე მეტი... იმერლობა მოდისო.

ორი „ტურისტის“

ხიდისთაველის გლეხისას თურქი ხურო სახლს აშენებდა. ხურო ისვენებდა. მეზობლები მოსულიყვნენ და ბაასობდნენ. თურქმა ყოყლოჩინობა დაიწყო:

- მე დიდი ნაშობაური კაცი ვარ; მე მინახავს სტამბოლი, დარდანელი, ფოთი, ბათუმი, ხოფა. რიზე და ქერჩიო.
- იქვე მყოფმა გლეხმა დათუნა ფოცხიშვილმა, რომელიც თავის თემს არ გაშორებია, უთხრა:
- ეგ რა არის. მე უფრო მეტის მნახველი ვარო.
- და ჩამოუთვალა თავისი თემის ადგილის სახელები:
- მე მინახავს: მეწიეთი, ბეროვული, ვეშაპოური, ჭაქეთი, თხემლარა, დიდვაკე, ქაჩაბეროული, სასირე და ყელიო.
- თურქმა თავი ჩაჰკიდა და უთხრა ფოცხიშვილს:
- არა...შენ მეტი ხავალი ყოფილხარ: ალლაჰს სიმართლე უყვარს, მე ეგ ქალაქები არც კი გამიგონიაო.

ერთი გურულის „პატრიოტიზმი“

- გურულო, ქუთაისი იწვისო.
- მაგაზე დადგა ჩემი დარდებიო.
- სამტრედიისზეც გრიგალს გადაუვლია და სულ დაუნგრევიაო.
- მაგის მეტი საჯარებელი არ მიეცა ჩემ ცოლშვილსო.
- ფოთიც რიონს წაუღიაო.
- ო, გვეგონე, გუმინ მითხრესო.
- ნატანები ადიდებულა და ცხემლის ხიდი წაუღიაო!
- ჰე, რა ძითხარი მაი. ქე არ დაქცეულა მთელი ქვეყანა!

უნებური დახასიათება

ვაგონის ერთ კუბეში იჯდა მღვდელი, პრაპორშჩიკი, მისი ცოლი და ვაჭარი ამითან ერთი გლეხიც დაჯდა. ესენი მალაღფრაზოვანი სიტყვებით მასლათობდნენ.

გლეხი წამოდგა. თურმე ხამი იყო და მდაბიური სიტყვითა სთქვა:

- საჭირო ალაგას უნდა წავიდეთო.
- ვაჭარმა პროტესტი განაცხადა გლეხის გაგრიობაზე. შეუბღვირა:
- ეი შენ, სადა ხარ თუ იცი: ეს მღვდელია, თუ ვირის თავი? ეს აფიცვრია, თუ ბანდა? ეს ქალბატონია, თუ როსკიპი? მე გილდი-კუბეცი ვარ, თუ ერთი ნიჩაბი ჩონჩოროკიაო!

რაჭველი და გურული

რაჭველი და გურული სახაშეში შევიდნენ. ორივემ ერთი ჯამი ხაში მოითხოვეს. ერთ ჯამს-კოვზიც ერთი მოჰყვა. ერთი კოვზით ორმა როგორ უნდა სჭამოს! რომ არც ერთი ამხანაგი არ დაიჩაგროს და ორივეს თანასწორად ჰხვდეს, ამის ხერხი რაჭველმა მოისაზრა. გურულს უთხრა: „ჩვენ ორში ერთმა დასახელოს სამი ქალაქის სახელი. ამ ხნის განმავლობაში კი მეორემ სჭამოს მეგრე მეორემ დაასახელოს. პირველმა კი სჭამოს და ასე ბოლომდე, სანამ ხაში არ გათავდესო“.

დაეთანხმა გურული და კოვზი აიღო.

რაჭველმა დაიწყო:

- საბჭოთა კავშირის დედაქალაქი და სიდიდით ყველაზე უფროსიც არის მოსკოვი. მეორე დიდი ქალაქი არის ლენინგრადი, წინანდელი პეტროგრადი, ხოლო სულ პირველად პეტერბურგი.
- ამასობაში გურულმა ხაში ფსკერს დაუახლოვა.
- მესამე დიდი ქალაქი არის ჩვენი თბილისი... მოიტა კოვზი!
- გურულმა კოვზი გადასცა. სახამ რაჭველი ერთი კოვზი წვევის შეხვრებას მოასწრებდა, გურულმა ჩამოსთვალა:
- ონი, ხონი, ზესტაფონი... მოიტა კოვზიო.



უაუისკური „ხალოვნების“ საზომ-სასწორი

- არ მოჰყავს ეს მუსიკა! არაფერი არ გამოდის...
- სამაგიეროდ თვით დირიჟორი წმინდა სისხლის არიელთა მოდგმიდან წარის გამოკლებული.

პ.მგ. რედაქტორი ი. ზ. ხომარაძე. კოლეგიის წევრები: ს. ბაჩყალიაძე, ი. ბაქალი, ირ. აბაშიძე, დ. გელაშვილი.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5, ტელეფონის № 3-74-67. „კომუნისტის“ სტამბა კამოს ქ. № 68.

ვალდებულ წარმოებას 10/XI ხელმოწერილია დასაბეჭდათ 19/XI 36 წ. შეკვეთის № 1074 მთავლიტის რწმუნებული 1064 ტირაჟი 15000